

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება №  
—აპრილი 2024 წელი**


**ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩისთვის სახელმწიფო  
მოღვაწის ეველინა თავაძის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, ფეიქართა ქუჩას მიენიჭოს სახელმწიფო მოღვაწის ეველინა თავაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**საკრებულოს თავმჯდომარე**

**გიორგი ტყემალაძე**



თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კრმისის თავმჯდომარეს  
ქალბატონ ნინო ვარდოსანიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. ქუთაისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მც. ქართული, ქართული აზ 102 6000 442  
ტ/ქ. 599508487

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში არსებული „ფეიქრების“ ქუჩის სახელთან დაკავშირებით მოგმართავთ ამ ქუჩაზე გასული საუკუნის 60-იან წლებში არსებული შალის ძაფსარი, ავი ფაბრიკის „ქართული შალის“ ყოფილი თანამშრომლები (დასახლება შემორჩენილია ფაბრიკის ადმინისტრაციული შენობის თავზე). იმ პერიოდში ფაბრიკასთან მისასვლელი გზა არ იყო. გზა გადმოდიოდა რკინიგზის ლიანდაგებზე, შესაბამისად ქუჩა და სახელი არ არსებობდა. ფაბრიკის დიროქტორმა ლეგენდარულმა ქალბატონმა ეველინა თავაძემ შექმნა პროექტი და ქუჩას ეწოდა „ფეიქრების“ ქუჩა რადგან საფეიქრო ფაბრიკა იყო ერთადერთი ამ უბანში.

მოგმართავთ თხოვნით ფეიქების ქუჩას დაერქვას ეველინა თავაძის სახელი. ქუჩის დაარსების ისტორიის გათვალისწინებით, დამსახურებულად და ღირსეულად დაამშვენებდა მას, ეველინა თავაძის სახელი.

ეველინა თავაძე დაიბადა ვანში, 1916 წელს 11 ოქტომბერს, ზაქარია თავაძის და იპრაქსია ჯაშის ოჯახში.

აღსანიშნავია ეველინა თავაძის მონაწილეობა ჟურნალ „საქართველოს ქალები“ გამომცემლობაში. სსენებულმა ჟურნალმა დიდი როლი ითამაშა როგორც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერების, ასევე საზოგადოებრივ კულტურული ცხოვრების პროცესში ქალთა როლის ზრდასა და მათი მხარდაჭერის მიმართულებაზე.

ეველინა თავაძე სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე. ფაკულტეტის დასრულების შემდეგ შრომითი მოღვაწეობა დაიწყო ლანჩხუთის საფოსტო კავშირის გამგედ. შემდეგ მუშაობა გააგრძელა თბილისის შამპანიური ღვინოების კომბინატში, პროფესიული კომიტეტის თავმჯდომარედ. სამამულო ომის დროს მსახურობდა სამხედრო განყოფილებაში. ომის დასრულების შემდეგ 1984 წლიდან კი საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს უფროსად. 1954 წლიდან თბილისის სართავ სატრიკოტაჟო კომბინატის გენერალურ დირექტორად. ამ პერიოდში ჩამოაყალიბა და შექმნა ქართული ხალხური ცეკვის ანსაბლი რომლის ხელმძღვანელიც გახლ-დათ მურმან ნიკოლაიშვილი. ანსაბლში ცეკვავდა ეველინა თავაძის ორი ვაჟი.

სატრიკოტაჟო კომბინატის შემდეგ მოღვაწეობა გააგრძელა ქ. თბილისის კამვილური დართვის ფაბრიკა „ქართული შალის“ დირექტორად.

პარალელურად დაამთავრა საქართველოს პოლიტიკური უნივერსიტეტის საფეიქრო  
მრეწველობის ფაკულტეტი.

ეველინა თავაძე ასევე გამოიჩინა თავისი ქველმოქმედებით. მან ამავე დროს,  
მაუდ-კამალის კომბინატში მიიწვია გელა ჩარკვიანი და ჩამოუყალიბა ინსტრუმენტალური  
ანსამბლი, რომელზეც გელა ჩარკვიანი დიდი მადლიერებით საუბრობდა უურნალი „სარკის“  
ერთ-ერთ სტატიაში. გელა ჩარკვიანი იმასაც აღნიშნავდა, რომ ისინი ურკავდნენ ჯაზს და  
მღეროდნენ პოპულარულ უცხოურ სიმღერებს.

ეველინა თავაძეს საკუთარ თავზე ჰქონდა აღებული უპატრონო ბავშთა სახლების  
მართვა, რომელსაც წარმატებით უმდვებოდა მიუხედავად მისი გადატვირთული გრაფიკისა.

ფაბრიკა „ქართული შალის“ დირექტორობის პერიოდში, ფაბრიკას ჰქონდა დიდი  
პრობლემა სამანქანო გზის არქონის გამო.

ტრანსპორტისგადმოსულახდებოდარკინიგზისლიანდაგებზე. გზის მშენებლობა და  
დაპროექტება ეველინა თავაძის თაოსნობით მოხდა. ქუჩას მიენიჭა „ფეიქრების“ ქუჩის  
სახელი, ვინდაიდან და რადგანაც საფეიქრო ფ-კა და ეველინა თავაძე გახლდნენ ამ პრეოქტის  
სულის ჩამდგმელები. ეს ქუჩა ასრულებდა დიდ როლს თბილისში როგორც შიდა საკვანძო  
მაგისტრალი. ამ მაგისტრალის მშენებლობის დასრულების შემდეგ იგი გაათავისუფლეს  
დაკავებული თანამდებობიდან, რადგანაც მან უარი განაცხადა კორუფციულ გარიგებებში  
მონაწილეობაზე.

გათავისუფლებიდან 6 თვის შემდეგ, ეველინა თავაძე დაინიშნა საქართველოს  
მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსად და კოლეგიის წევრად. 1971 წლიდან  
დაინიშნა საქართველოს ტრიკოტაჟის ფაბრიკა „ოქსინოს“ დირექტორად და მოღვაწეობდა  
ამავე ფაბრიკაში 1990 წლამდე. წლების მანძილზე იმყოფებოდა მსუბუქი მრესველობის  
დაწესებულებებში პირველ ადგილას, საბჭოთა კავშირის მასშტაბით. იყო უურნალი  
„საქართველოს ქალი“-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი, იყო ღირსების ორდენის კავალერი,  
საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი, შრომის წითელი დროშის ორდენის და სხვა მრავალი  
ორდენებისა თუ ჩინ მედლების კავალერი.

ეველინა თავაძე გარდაიცვალა 2006 წლის თებერვალში.

The image shows several handwritten signatures in Georgian script, likely belonging to family members or colleagues of Ebelin Tavazishvili. The signatures are written in black ink and are somewhat stylized. Some are more legible than others. There are approximately 8-10 distinct signatures visible across the page.



ნინო თავაძე

(1916-2006)

სახელმწიფო მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი

დაიბადა ვანში 1916 წლის 11 ოქტომბერს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის საფოსტო კავშირის გამგედ. შემდეგ მუშაობა გააგრძელა თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატში, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ. 1941-1945 წლებში მუშაობდა სამხედრო განყოფილებაში. ომის დასრულების შემდეგ საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოს უფროსად. 1954 წლიდან თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის გენერალურ დირექტორად. ამ პერიოდში ჩამოაყალიბა და შექმნა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელიც გახდათ მურმან ნიკოლაიშვილი.

ტრიკოტაჟის კომბინატის შემდეგ მუშაობა გააგრძელა კამვოლური დართვის ფაბრიკა „ქართული შალის“ დირექტორად. პარალელურად სწავლობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო მრეწველობის ფაკულტეტზე.

1971 წლიდან 1990 წლამდე მუშაობდა ტრიკოტაჟის ფაბრიკა „ოქსინოს“ დირექტორად. წლების განმავლობაში მუშაობდა მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსად და კოლეგიის წევრად.

იყო ურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, იყო ღირსების ორდენის კავალერი. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით.

გარდაიცვალა 2006 წელს.